



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის
შედგენის მეთოდოლოგია



2017



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო

უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
რექტორის ბრძანებით N 01-01/84
27.11.2017 წ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია

შესავალი

გთუნი აღიარებს განათლების მიღების უფლების საყოველთაობას და მიზნად ისახავს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, როგორშიც განსხვავებული მოთხოვნებისა და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი სოციალური, ეთნიკური, კულტურული კუთვნილებისა თუ ინდივიდუალური მახასიათებლისა, მოტივაციის, უნარის, სწავლის სტილისა და რიტმის განსხვავებულობისა, მიიღებს ხარისხიან განათლებას. განათლებაზე ხალმისაწვდომობა ხაზგასმულია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, რომელთაც ხარისხიანი განათლების მისაღებად მეტი დახმარება, დრო, სერვისები, ფინანსები და მხარდაჭერა სჭირდებათ.

საქართველოში უმაღლესი განათლების დონეზე ინკლუზიური განათლების რეგულაციები, რეფორმა და/ან პროგრამა მომზადების პროცესშია, შესაბამისად, დოკუმენტის შემუშავებისას გთუნი ეფუძნება არსებულ ნორმატიულ ბაზას: „საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ“ (მუხლი 3, „დ“ ქვეპუნქტი) ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წ. 11 მარტი ბრძანებას №36/ნ; საქართველოს მთავრობის 2014 წ. 20 იანვრის განკარგულებას N76 ;

გათვალისწინებულია აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო აქტი და დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ (მაგ., UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, 2006), რომლის განხორციელების ვალდებულება დაადასტურა საქართველომ, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება.

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს გთუნიში სასწავლო საფეხურების მიხედვით სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და პროცედურას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილ დოკუმენტს, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.2. ტუტორი - ტუტორი არის ფაკულტეტის დეკანატის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს.

- 2.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.
- 2.4. **სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი:** არის პირი, რომელსაც აქვს სწავლაში ჩამორჩენა ან/და გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. ამ კატეგორიაში განვიხილავთ აგრეთვე, გრძელვადიანი მკურნალობის, ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას; ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას და აქედან გამომდინარე, ენობრივი ბარიერის არსებობას, სწავლის შეუთავსებლობა სამუშაო განრიგთან და სხვა;
- 2.5. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი:** სტუდენტი, რომელსაც სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ნიშნავს გარკვეული მოქმედების განხორციელების, მოქმედებაში მონაწილეობის მიღების და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ან გარემოში ჩართულობის შესაძლებლობის შეზღუდვას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტი (შემდგომში - შშმკ) არის სტუდენტი, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

თავი II. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და შეფასება

მუხლი 1. სტუდენტის რეგისტრაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და აკადემიური დატვირთვა

- 1.1. სტუდენტთა რეგისტრაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- გთუნის სტუდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
 - შშმკ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
 - განცხადებაში ფიქსირდება ის სასწავლო კურსები, რომლის ათვისება სურს სტუდენტს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში და ის მიზეზები, რის გამოც ითხოვს სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.
 - განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

- სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რის შემდეგაც, საკითხი განსახილველად გადის ფაკულტეტის საბჭოზე.
- ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, სტუდენტი, ტუტორის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის დახმარებით ადგენს სავარაუდო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
- სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, ფაკულტეტის საბჭოს არგუმენტირებული და დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

მუხლი 3. აკადემიური დატვირთვა

- 3.1. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დროს, გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი გთუნში ძირითადად მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.
- 3.2. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ხდება ითვალისწინებს საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლის თანახმად სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მოიცავდეს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება.
- 3.3. ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით, ამზადებს ბრძანების პროექტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტის აკადემიურ კალენდართან დაკავშირებით.
- 3.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტის აკადემიური დატვირთვა მოიცავს:
 - სავალდებულო და არჩევით კურსებზე (ლექციებზე) დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას;
 - დამოუკიდებელ მუშაობას;
 - სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებით, პროფესიულ, პედაგოგიურ ან საწარმოო პრაქტიკას;
 - გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
 - პრაქტიკის გავლას და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას;
 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების შესრულებას;

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შშმ და სსს პირებისათვის

- 4.1. გთუნის უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.
- 4.2. შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 4.3. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.
- 4.4. სილაბუსებისა და სასწავლო მასალების მიწოდება ხდება სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მოიცავდეს:

- ელექტრონული სწავლების ფორმის ელემენტების გამოყენებას სასწავლო პროცესში;
- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირებულ შეფასების ფორმატის: ზეპირი, წერიითი, ტესტური, ელექტრონული გამოკითხვა-შეთავაზება.
- სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული საუნივერსიტეტო სივრცისა და სერვისების შეთავაზებას და ა.შ.
- გთუნის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვა კატეგორიის სტუდენტათვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ასევე შესაძლებელია:

- 5.1. უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის.
- 5.2. სტატუს აღდგენილი სტუდენტისთვის.
- 5.3. განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული სტუდენტისათვის, გთუნის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც სტუდენტთან შეთანხმებით ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
- 5.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გულისხმობდეს ასევე სწავლების დისტანციური მეთოდების გამოყენებას.
- 5.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს ასევე სტატუს აღდგენილი სტუდენტისთვის, იმ შემთხვევაში თუ მას უწევს განსხვავებული კურიკულუმით საგნების გავლა.
- 5.6. სპორტსმენისთვის.

მუხლი 6. შეფასების სისტემა

- 6.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მსწავლები სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის # 3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული შეფასების წესის მიხედვით.
- 6.2. სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა” შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის კრედიტის ასათვისებლად.
- 6.3. სტუდენტს მისი საჭიროებიდან გამომდინარე ვთავაზობთ შეფასების შესაბამის ფორმატს.

მუხლი 7. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასება

- 7.1. დეკანატი სასწავლო განყოფილებასთან ერთად მონიტორინგს უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებას, რის საფუძველზე ადგენს ანგარიშს და წარუდგენს რექტორს.
- 7.2. უნივერსიტეტის რექტორი წარმოდგენილ ანგარიშს შესაფასებლად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით, ამზადებს ცვლილებას სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.